ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42-34

2019 წლის 24 მაისი

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 16.01.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016449) და დადგენილების პირველი მუხლის:

1. „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა დანართი 14-ის შესაბამისად.“.

2. „ო“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი 14 „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა“ ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 აგვისტოდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**